

„ცრუ და მუსტალი სოფელი
მიწები ავინა მანდილა“

მ. რუსთაველი

როგორღაც შემოგვეჩვია
ბედი—მდედარი, ხშირი სტუმარი
გავიხსენა, გავიხსენა, თუმცა
ჯერ მაინც გვიკვირს მისი ყოველი
სტუმრობა—რა დაგვამავთ ამის
ფასი? იმ დღესაც ასე იყო,
პარილის კიდეც ერთ ავბედით
დღეს, მიწამ რომ პირი უყო
მთელ სოფლებს, ამჯერად ზემო
იშვრეთი და რაქა ირჩია სტიქიამ
(თუ იმპერიული ზრახვით გულგა-
სენილმა სატანამ—ვინ იცის?)
ჩვენ გადვრჩით, ამასაც თუ
გადარჩენა ჰქვია. „რაქა...“
ეპირვებოდა ახლა საქართველოს?
—გულდაწყვეტით გვითხრა
ამბროლაურს რაქველთა რძალმა.
ან რაქას ესლა ეპირვებოდა,
ისედაც გაქირვებულს, ღვთისა და
კაცისაგან დაგვიწყებულსა და
მიტოვებულს?

ფიქრებში იღვწა გზა, მოუღვე-
ლი და გვერანებული ბაღ-
ვენახები რომ აკრავს ორივე
მხრიდან. მზრუნველი ხელი
მოკლებია განთქმულ ხვანჭკარასაც
კი, საცოდავად დაუურსულა
პატრონის მომლოდინე ვაჟი.
ლერწმუნად ასე ხშირად ვერ
შეხვდებით მოუღველ ვენახებს.
სოფლებში შემორჩენილი ხულ
რამდენიმე კომლი ვერ ასულია
სახნავ-სათესს, შემოსაღობსა და
საპატრონოს და ოდესღაც
რუღუნებით გაშენებულ
ვენახებში უშფოთველად ძოვს
პირუტყვი. გაქირვებია ჩვენს
მეზობელს, უკაცობა, უდამიანობა
გაქირვებია. მართლაც, ესლა
ეპირვებოდა?

ამბროლაურს მიახლოებულგან
სულ რამდენიმე საბლს შევამჩნიეთ
მაწისძვრის კვალი. თვითონ
ქალაქი ერთი შეხედვით თითქმის
დიდ-და-და ღვთისმშობლა, სახლი
არ დაწვრიულა, მხოლოდ
პროუტექტიური სასწავლებლის
შენობებისათვის ჩამოუყვითია
კედლები მიწისძვრას. მაინც აღარ
ეიმედებათ საკუთარი პერი
ამპროლაურელებს—დაზარალი
კედლები შეიძლება მცირე
ბიძგითაც კი დაიქცეს.

ამბროლაურს გავცდით და
დანგრეული სახლებიც შევინახეთ
ალაგ-ლაგ. გზიდან კარგად ჩანს
ბარაკონის დიდებული ტაძარი
მანც ღვთისური შუქით
ბრწყინავს მისი დაზინებული
გუმბათი. გული გვიძუმდება.
უარეს დღეშია თურმე ნიკორწმი-
ნდა, რაჭის მშენება და სიამაყე.
დღეს ვეღარ ვასწრებთ ტაძრის
მონახულებას. გზა ონისაკენ
გვიდევს.

რაც უფრო ვუახლოვდებით ამ
უძველეს ქალაქს, მით უფრო
ხშირდება დანგრეული სახლების
წყება. ქალაქის შესასვლელი
შლაგბაუშითაა გადაკეტილი.
გვარდიელებს ვუხსნივთ ჩვენი
მგზავრობის მიზანს. რედაქციის
მანქანას გზა ხსნილი აქვს.

შორიდან ონი უშფოთველად
გამოიყურება, ისე ახარებს თვალს
სიმწვანეში ჩაფლული სახლების
აფერადებული სახურავები, იმედის
ხავსაც კი მოგვიბედო, იქნებ
არც ისე წვიმს, როგორც ქუხს
და ონის უბედურება გავიადრეუ-
ლიათქო. მალევე ჩავვიქრა იმედის
ეს სხივი. ქალაქში შესულგან
მთელი თავისი სისასტიკით
წარმოგვიდგა სტიქია. ქუჩა-
მოედნებზე მდგარი შეიარაღებული
გვარდიელები, ცივი, წვიმიან

ამინდის მიუხედავად ჭკუფ-
ჭკუფად შეგრავილი ადამიანები,
კარვები და ლიობებიდან მომზირალი
ბავშვების შეშფოთებული
თვლები, ტრანსპორტით,
ტექნიკით გადაკედლი ქუჩები,
დანგრეული სახლებიდან გარეთ
გამოყრილი ავეჯი (რაც გადარჩე-
ნილა), ალაგ-ალაგ ფარდულებთან
შეგრავილი ხალხი—პურს და
სურსათს არიგებენ.

ონში თითქმის ყოველი მე-
ორე სახლი ისეა დაზინებული,
რომ ცხოვრება ფაქტიურად შე-
უძლებელია, ჩამორღვეული კე-
დლები, ჩამოქცეული სახურა-

და სხვა), ისინი ქალაქშია გაუ-
ანტული, რადგან ერთ შენობა-
ში ყველას მოთავსება ვერ მო-
ხერხდა. ეს კიდეც უფრო აძენ-
ლებს კოორდინაციას.

შტაბის წინ ხალხი ირეოდა.
აღვილად გამოარჩევდით უცხო-
ელებს, სპეციალურად ადამიან-
თა მოსაძებნად გაწვრთნილი
ძალებითა და სპეცტანსაცმ-
ით. შტაბის შენობაში კი ტივა
არ იყო, ხალხით სავსე პრეფექ-
ტისა და მისაღები ოთახების
ხილვა უნებლიე შიშს ალგობდა.
ვინაა. სამხედროები, ქართველი
ოფიცრები გამხდარ, დაღლილ-
სახიფ ახალგაზრდას ეს-
აუბრებოდნენ. აღმოჩნდა, რომ
სწორედ ეს ახალგაზრდა კაცია
რაიონის პრეფექტი. იგი გულ-

4 ბალიანი ბიძგის შემდეგ სახლ-
ების პი პროცენტი დაინგრა),
ბათუმელებმა გამოთქვეს მზად-
ყენა, რომ ახლავი წასულიყვენ
სოფლებში და თავად დაედგინ-
ათ დაზარალებულთა რიცხვი.
იქვე მიიღეს კონსულტაცია, აიღ-
ეს რაიონის რუკა და გზას გაუ-
დგინეს. მალე ჩამოვიდა უზენაესი
საბჭოს სამშენებლო ქვეკომისი-
ის თავმჯდომარე მშენებლობის
სამინისტროს წარმომადგენლები-
თურთ და საშენი მასალების
გამოყრდისა და უახლოეს ხანში
მის მიწოდება-შემოწმების შეს-
ახებ დაუწყო შტაბს. ისინი საქმა-
ოდ დიდხანს ბუბდნენ თუ სად,
რკინიგზის რომელ სადგურზე
აჯობებდა საშენი მასალების გა-
დმოტვირთვა, როგორი ტიპის
დროებითი ბინები უნდა აშენე-
ბულიყო უსახლკაროდ დარჩე-
ლთათვის, რომელ სკოლას შეე-
თება უბედობა, რომელი კი
უნდა დაენგრიათ და ხელახლა
აეშენებინათ. საუბარს ხშირად
აწყვეტანებდათ მთხოვნელთა
შემოსვლა. ბაჭიხველთა წარმო-
გზავნულმა დელეგატმა შტაბში
დასვა სოფლის გადასახლების
საიჯინო და იქვე მიიღო პასუ-
ხად, რომ ეს შესაძლებელი იქნ-
ება.

ნგრევის მასშტაბები საქმოდ
დიდია. ზოგიერთი სოფელი სრუ-
ლად გასწორდა მიწასთან—(ჩო-
რდი), მაგრამ მცხოვრებნი არ
ტოვებენ იქაურობას, პირუტყვს
მიხედვა უნდა, როგორც ჩანს
ქონების მცირეოდენი ნაწილის
გადარჩენის იმედი აქვთ. სასწრა-
ფოდ მივაშველოთ კარვებიო,
გადაწყვიტეს შტაბში. კარვები
კი ბევრი არ არის. საიდან არ
აგზავნიან, ჩამოაქვთ, მაგრამ
მაინც არაა საკმარისი, მთელ
რაქას კარვებში როგორ მოაქცევ-
და არის დავა, ვინ უნდა მიეცეს
პირველ რიგში. არადა, ვინ გინ-
და გამოარჩიო. ოდნავ გაზარუ-
ლიც რომ იყოს სახლი, პატრონი
მაინც ვერ შედის შიგა ეზონია
და მართალიცაა, ვინ იქნის, გან-
უწყვეტელი ბიძგები რა ხეირს
დააყრის დაზინებულ კედელს.
ამიტომ ახლა ყველა უსახლკა-
როდაა, ვერცერთი სახლი ვერ
იფარებს აქამდე მოამაგე პატ-
რონს.

სიცოცხლე იმსხვერპლა ონ-
ში მიწისძვრამ. ჩვენ მხოლოდ
შვიდი ვიცოდით—სოფელ ირში
სკოლის დირექტორი დაიღუპა,
როცა ბავშვები გამოყავდათ შე-
ნობიდან, გვითხრეს. აი, ბარბის
საბაღობში ჩაქეტილთა ისტო-
რია კი ბედნიერად დასრულდა
—ოცდაათივე გადარჩა სიკვდ-
ილს.

შტაბიდან გამოსულები რაიკ-
ოპერატორის გამგეობის შენობ-
ისაკენ გავემართეთ. აქ გროვდება
პროდუქტი დაზარალებულთა-
ვის. მცირეოდენი მოაქცია მი-
ვიტანეთ, სურსათით გაკედილი
საწუხი და ეზო დავათვალიერეთ
და უკან გამოვბრუნდით. გზად
გვხვდებოდნენ დაზარალებულთა-
თვის განკუთვნილი ტვირთით
სავსე ავტომანქანები. დაზარება
მოდიოდა ყველა კუთხიდან.
მთელი საქართველო დგას გაქი-
რვებულ მშათა გვერდით.

ამბობენ, მიწისქვეშა ბიძგები
კიდეც დიდხანს გაგრძელდებაო.
არადა, ამასწინანდელმა ძლიერმა
ბიძგმა კიდეც ბევრი სახლი
დაანგრია თურმე რაქაში. რა
იქნება ერთ თვეში? როდისღა
წამოიღებს წელს ეს უაღრესად
ქართული მხარე?

შენი ჭრილობა
მგპიოდეს
მივლინება უბედურების ზონაში

ვები, ადამიანთა დამწუხრებუ-
ლი, ცრემლიანი სახეები—აი ის,
რაც ჩვენ იქ ვიხილეთ და
კიდეც... გაქირვების უამს დასა-
ხმარებლად გამოწვდილი მოკე-
თების ხელი. ქალაქ ონში თი-
თქმის ყოველ საათში მოდიან
პროდუქტით, მედიკამენტებით,
კარვებით და სხვა საჭირო
საგნებით დატვირთული მანქა-
ნები. აქვე შეხვდით ელციანის
მიერ საქართველოში დასახმარ-
ებლად გამოგზავნილ ადამიან-
ებს. მოდიან უცხოეთის სხვა-
დასხვა ქვეყნებიდან. დიან,
მაშინ, როცა სსრკ-ს პრეზიდ-
ენტი ჩვენთვის „თანაგრძნობის
დებუთს“ გამოგზავნიდა არის
გართული, ხალხი რეალურ და-
ხმარებას უწევს გაქირვებაში
ჩაყვრნილ საქართველოს.

კითხვა-კითხვით მივაგენით
რედაქციის შენობას—მათზე
უკეთ ვინ გავაყვავდებოდა გზას
აფორიკებულ, ერთიან ბანაკად
ქცეულ ქალაქში. მათი ბედიც
გვანტერესებდა და ისიც, თუ
რითი შეიძლება დაეხმარებო-
დით. შენობა გამოკეტილი დაგვიხვდა
თუმცა გარედან ბზარიც არ აჩნდა,
შიგნით დანგრეულა თურმე. ისევ
რაიონული შტაბის მეშვეობით
უნდა მოგვეძებნა კოლეგები.

შტაბი საფინანსო განყოფილებ-
ის ერთსართულიან პატარა
შენობაშია მოთავსებული, რადგან
პრეფექტურის ოთხსართულიანი
შენობა არასაიმედოა, მიწისძვრის
დროს ძლიერ დაზინდა მე-4
სართული. შტაბს (ანუ მიწისძვრის
შედეგების სალიკვიდაციო
კომისიას) პრეფექტი ოქროპირ
ნავროზაშვილი ხელმძღვანელ-
ობს.

ჩვენი იქ ყოფნის დროს, ელ-
ცინის მაშველი რაში ერთ-ერთ
ნანგრევებში მოყოლილი სოფ-
ლის საშველად მიიჩქაროდა,
ერთი სურვილით იყო გამსჭვ-
ლული ყველა მათგანი: მივე-
ვლოთ, გადავარჩინოთ, გასა-
ჭირი შევუმსუბუქოთ. კო-
მისია ქვეკომისიებადაა და-
ყოფილი (სამედიცინო მომს-
ახურების, გზების, ენერგეტიკის,
პროდუქტების განაწილებელი

ისყურით უსმენდა მოსაუბრეთ,
რადგან რომ უხსნიდნენ დუი-
ნებით. ყველას პრეფექტთან
უნდოდა შეხვედრა, ვინ კარავს
იბოვდა, ვინ საწვავს, ვინ
სურსათს, პრეფექტიც ყველა
უსმენდა და გზას აძლევდა.

როგორც იქნა, დრო ვიხელ-
თეთ და მთხოვნელთა რიგი რომ
შემცირდა, პრეფექტს ავუხსენით
ჩვენი მისვლის მიზანი. მან მაში-
ნვე გაგზავნა მანქანა რედაქციის
მუშაკების მოსანახად. სა-
ნამ გაგზავნილი დაბრუნდებოდა,
იქვე ვიქეით და ვებედავით, რა
დღეში იყო ხალხი, შექირვებუ-
ლი რომ შემოვბოდა და შევლას
იბოვდა.

ჩვენი იქ ყოფნის ერთი საათ-
ის განმავლობაში არ შეწყვეტი-
ლა ადამიანთა ნაკადი. ჩვენ უნე-
ბლიე მოწმე ვაცხდით პრეფექ-
ტის ოთახში ჩატარებული რამდ-
ენიმე სხდომისა. ბოლოს, როცა
ოქროპირ ნავროზაშვილს უძილ-
ობის და გადაღლილობისაგან
უკვე ვუხვებდით აღარ შეე-
ლო, შტაბის მუშაობას უზენაესი
საბჭოს დეპუტატი ბადრი ჭაფა-
რიძე ხელმძღვანელობდა, იქვე,
ჩვენს თვალწინ იღებდნენ სტუმ-
რებს როგორც რესპუბლიკიდან,
ისე უცხოელებს. ყველა დახმარ-
ებას სთავაზობდა რაიონის ხელ-
მძღვანელობას. იმ დროს ჩამოი-
ტანეს კარვების კიდეც ერთი
პარტია, რომლებიც ბათუმის
სამოქალაქო თავდაცვის შტაბის
თაოსნობით გამოუყვეს სამხედ-
როებმა დაზარალებულებს, ბათუ-
მელებმა იქვე შესთავაზეს ბატონ
ბადრი ჭაფარიძეს დახმარება
ყველაზე ძნელ—კოორდინაციის
საქმეში. მათ იბოვებს დაზარა-
ლებულთა რაოდენობის და მათ-
თვის აუცილებელი დახმარების
დაზუსტებული ციფრი. და რო-
ცა პასუხად მიიღეს, რომ დაზა-
რალებულთა რიცხვი ჯერ დად-
გენილი არაა, ვინაიდან ბიძგები
მერყეობდა, რაც იწვევს დაზინ-
ებულ სახლების დანგრევას
(იქვე მოიტანეს ამბავი, რომ
სოფელ ღებში, რომელიც 29
აპრილის მიწისძვრას შედარებით
იოლად გადაურჩა, დღევანდელი

მიუხედავად
საქართველოში
მიგრაციის
მერაბი

ვიცი შენი წმინდა ძვლები
ახლა საფლავში ვერ ისვენებენ,
მერაბი!

ვიცი, შენი სული ზეცის
სივრცეებს ეხეთქება გამწვარებული
და უსასრულობიდანაც კი ცდილ-
ობს თავის დაღწევას, საქართვე-
ლოს რომ მიეშველოს.

მთაწმინდის მთაზე წამოდგარა
შენი წმინდა აჩრდილი და
მწუხარე ანგელოზებით ატირებუ-
ლი გადმოჰყურებს ძაძვში გახვე-
ულ, ნანგრევებში მოქცეულ
გაქცეულ საქართველოს.

ეს მერამდენედ, მერამდენედ
გახვია ძაძვში ათაგზის ძუძუმო-
ჭრილი, რუსის სალდათური
ჩექმებით (თუ ინტელიგენტური
ფენსაცმლით) გადათელილი,
ავტობატის ჭერით დაცხრილული,
წითელი ვარსკვლავის მაყდური
შუქით დასერილი, სისხლგამწარალი
ქართული მიწა.

ოჰ, ეს აპრილი... ნეტამც,
საერთოდ არ გარეულიყო თვეებს
შორის, აღარც 9 აპრილი
იქნებოდა და აღარც 29...

რომელი ერთი დავიტიროს,
ნაპოვნი თუ საპოვნელი?.. რომელ
ერთ გვამს მოვეუფოთო, დავაფრქვი-
ოთ ცრემლი ერთმანეთს ვგზელ-
ებით, თვალებს ვმალავთ
ქართველები!

პატარა გოგო-ბიჭები მოვივლენ
შვილიშვილებად, მერაბი! იარები
შეუხვები ვინძლო, ნანგრევებით
დამსხვრეული თოთო ძვლებიც
მოურჩინო, პაწიებს!.. ელისო
მოისხმარე, ეკა, ნათია, თამარკო,
გია, ზურაბი, გულში ჩაიკაროთ
და უპატრონეთ ჩვენს შვილებს.
ნიკორწმინდის დანგრეულ-
დაზარალი ფრესკების თვლები-
დან წამოსული ცრემლი საღებუ-
ნად იხმარეთ.

მოუსამძიმრე საქართველოს
მერაბი!

ატირებული ღვთისმშობელიც
დამშვიდე, მძიმე ყოფილა მისი
ხედრი. ორი ძე ჰყავდა და ორივე
ეწაშა, მაგრამ, საქართველოც
იესოსავით აღდგება. ისევ
გაიზარდა გზა გოლგოთამდე და
მძიმე ჭვარიც უწყალო სიმძიმით
აწევს ქართულ მხრებს, მაგრამ,
წმინდაა ეს ჭვარი და ქართველი
მას მიწაზე არ დააგდებს.

ბუნებისაგან მოვლენილი ეს
ტრაგედია იქნებ, ქრისტეს
ორმოცდღიანი გამოცდაა უდაბნო-
ში და გავუძლებთ, ზღვარსაც
გავივლით ფხვანებს და ყველაზე
დაღუპულებიც და ცოცხლებიც
შევაღებთ კარს სამოთხისას,
რომელსაც თავისუფლება ერქვა
და ჰქვია.


ამ უბედურების უამს ღმერთი
და ყველა ანგელოზი ჩვენთანაა,
ჩვენ თვითონაც ვართ ერთმანეთ-
თან დალოის ეამბობთ და ხვალსაც
გვკერა, ასეთი ყოფილა ქართველის
ბედი ოდითგან.

„ნეტარ იყვენ მშვიდნი,
რამეთუ მათ დამიკვიდროს
ქვეყანა“.

მაყვალა კოკალიანი,
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ისტორია-ფილოლოგიის
ფაკულტეტის II კურსის სტუდენ-
ტი.

რუბრიკის დებიუტი:

ლენინური საზღვარგარეთ



ბედის უკუღმართობამ არანაირი საწყობი არ დააქო საქარ-თველოს, ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე დიდმა ქართველებმა რჩეულის და განუმეორებლის თავზე უნდა გადაიაროს... სათქმელად ძნელია, რა უფრო მძიმე იყო, შვილის მკვრიდან მოწყვეტა და გაუცხოება, თუ უცხო მხარეში გადახვეწილ შვილებზე დარდი, შვილებზე, რომლებიც სამშობლოს ხილვის ოცნებაში იტყუებოდნენ და ხსნაც არსადაც იყო, ერთი კი ფაქტია, საქართველოს უმათოდ სულიერად უჭირდა, მათ კი უსაქართველოდ, საოცარი მაგიური ძალა ჰქონდა აქაურობას, ქართულ მიწა-წყალს, აქ ყველაფერი სხვანაირი იყო და ამიტომაც გული აქეთ მოუწევდათ, სამუდამო განსასვენებელს აქ ეძებდნენ. თამაშავალთ ანდერძად უტოვებდნენ, მე თუ არ მომესწრო უკანასკნელად სამშობლოს ხილვა, ჩემი ფერფლი მაინც მოაბრუნეთ იქაურ მიწას. ქართული მიწა კი გულში იხუტებდა ცხოვრებით დაღლილ შვილებს. უფრო ბედნიერები იყვნენ ისინი, ვინც სიცოცხლის ბოლო ნაწილი თუნდაც ძალიან მცირე დრო მაინც, სამშობლოში გაატარა. ასლან ყურაშვილი ერთ-ერთი იმათგანია აღმოჩნდა.

ბავშვობა ლენინის სოფელ სანორჩში გაატარა, რვა დამასთან ერთად, ბავშვობა არაფრით ჰქონია გამოჩენილი—პაპანაქება სიცხეში მდინარეში ჭყუმპალაობა, ტოლებთან ერთად ტყეში პანტის საკრეფად ხეტოლი, „არჩევანი—არადანი“, ლაბტი. „ომ დღეს, როცა ლაბტობა გახურდა, მისი კბილა და კარის მეზობელი გიო აქლოშინებული მივირდა და ცინცხალი ამბავი ახარა—თქვენთან, ხმლიანი და ზიზილ-პიპილებიანი კაცი მოვიდაო.“ ეს უცხო სტუმარი ასლანის ბიძა, სამხედრო პირი გიორგი ყურაშვილი იყო, ქალაქ ხარბინში მცხოვრები, გიორგის ჯვრის კავალერი, რომელმაც მარჯვენა ხელი რუსეთ-იაპონიის ომის დროს დაკარგა. წასვლისას ბიძამ გადაწყვიტა ასლანი თავისთან წაეყვანა, რადგან მას იქ ცოლ-შვილი არ ჰყავდა და აქ კი დედ-მამას შვიდი დამასის გაზრდა გაუჭირდებოდა.

ასე გაემგზავრა 8 წლის ასლანი რუსეთში ბიძასთან ერთად, ბიძამ იგი პეტერბურგის საშუალო სასწავლებელში შეიყვანა, იველით კი სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად მანჭურიაში გაემგზავრა. საშუალო სასწავლებელი რომ დაამთავრა, საქართველოსკენ გზა ხსნილი არ იყო, დროებით ბიძასთან, მანჭურიაში გადაწყვიტა წასვლა. მანჭურიდან პეტერბურგელ ამხანაგებთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. კალიფორნიაში ორი წელიწადი სწავლობდა ინგლისურს, შემდეგ ბერკლის უნივერსიტეტი... ბიძის გარდაცვალება... ასლანმა მანჭურიაში ჩასვლა ვერ მოახერხა ბიძის საფლავის გასაქეთებლად, რადგან ამ დროისთვის უკვე გამწვავებული იყო ურთიერთობა ჩინეთსა და ამერიკას შორის და თანხა გადარიცხა იქ საფლავის გასაქეთებლად.

ასლანი პირველად 1916 წელს ჩამოვიდა საქართველოში დედამისისა და ოჯახის სანახავად, 14 წლის შემდეგ ხელახლა უნდოდა ჩამოსვლა, რადგან არც

ოჯახის, არც ნათესავების შესახებ იცოდა რაიმე, ვერც საქართველოდან აწვდენდა ვინმე ხმას. მიზეზი? რევოლუცია, შემდეგ გასაბჭოება, კოლექტივიზაცია... რაც ყველაზე მთავარია, საზღვარგარეთ დარჩენილ ქართველებს მტრულად უყურებდა „ჩეკა“ და აქ დარჩენილ მათ ნათესავებს ამოწმებდა და უთვალთვალებდა.

ერთი საინტერესო შტრიხი: იმის გამო, რომ ასლან ყურაშვილი ამერიკაში ცხოვრობდა, მისი ძმები არც პარტიაში მიიღეს და არც ომში წაიყვანეს.

დიდი დავიდარბის და ათი წლის მანძილზე ვიზის ლოდინის შემდეგ, ასლან ყურაშვილმა

1931 წელს დაარსდა „ამერიკის შეერთებული შტატების ქართული საზოგადოება“ ანუ სათვისტომო (ოფიციალურად გაფორმდა 1932 წ. აპრილში), რომლის გამგეობას თავმჯდომარეობდა პავლე დიმიტრის ძე კვარაცხელია და გამგეობაში სხვა იქაურ ქართველებთან ერთად ასლან ყურაშვილიც იყო. მეგობრებში ალექსეი შველად მონათლული იგი ახლა თავის პატარა საქართველოს ემსახურებოდა და ამითაც კმაყოფილი იყო.

ლენინში დარჩენილი ძმა დანიელ ყურაშვილი ამ დროს სტუდენტი იყო და ისედაც დავიდარბაგამოვიდა კაცს ძმასთან მიმოწერაც კი არ ჰქონდა, შიში... ისევე ეს დამლუპველი შიში... იმისა, რომ ოჯახს რაიმე უბედურება არ მოახვიონ თავს

ული. იქვე იყვნენ უცხოეთთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნიქარაძე (დ. ყ.) და ერთი უცნობი პირი. დაბინავდა თუ არა ასლანი ძმასთან, მაშინვე მილიციის განყოფილებაში დაიბარეს. დანიელი გუმანით მიხვდა, რასაც ჰქოთავდნენ იქ ძმას და ჩამოწერა პირობითი სია საკითხებისა, თან ძმა დაარჩია ანაზღაურება მუშის შრომისა ნაკლები ეთქვა, ხოლო ფასები ორჯერ მეტი, ვიდრე სინამდვილეში იყო ამერიკაში. მეორე დღე ლამის დაადამიანეს მილიციაში ასლანს, ისე დაქანცეს დაკითხვით, სახლში მისულს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. მეორე დღეს კი ძმას უთხრა: ბიჭო, დანიელ, საიდან მიხვდით კითხვას მიპირებდნენო. ერთი კვირის ჩამოსული იყო

ასლანი საქართველოში, როცა სვანეთის ნახვა მოინდომა, ნება-რთვა აიღეს მილიციიდან (ასლანს რაიონიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა) და მათი ერთ-ერთი წარმომადგენლის თანხლებით სვანეთის გაემგზავრნენ. ხარბად ისუნთქავდა მთის ცივ, კამკამა ჰაერს ასლანი, თვალს ვერ წყვეტდა ტყეების სილამაჩეს, გაოცებული იყო მთების ფერდობებზე შეფენილი სვანური კოშკების სიღრმით. სვანეთის ბუნების სიდიდემ უფრო გაუცხოველა სამშობლოს შეგრძნება ალბათ, ამას მისი თვლები მეუბნებოდნენ—ამბობს მისი ძმა და როცა ასლანმა მისგან შეიტყო, რომ მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა სვან კაცს მაშინდელი ხელისუფლება ნომრით დადგენილ გადასახადს ახდევინებდა, გაოცებულმა თქვა: კაცი აქ ცხოვრობდეს და კიდევ გადასახადი იხადოსო?

მალე ნიქარაძე ხელახლა ეწვია სტუმრად ძმებს, დიდხანს ესაუბრა ასლანს და შემდეგ თბილისში ჩასვლა შესთავაზა დასათვალიერებლად. ასლანმა ცივი უარით გაისტუმრა. წასვლისას ნიქარაძემ დანიელი გააფრთხილა, თუ თბილისში არ ჩამოიყვან ძმას, შენთვის იქნება ცუდიო.

ქუთაისამდე ავტობუსით იმგზავრეს, სარეისო თვითმფრინავი უკვე თბილისისკენ გაემგზავრა, მაგრამ აეროპორტის უფროსმა რომ შეიტყო ასლან ყურაშვილს სურდა თბილისში გამგზავრება, ერთ საათში კივეიდან წამოსული თვითმფრინავი დასვა და ძმები თბილისში გაამგზავრა. ყველაფერი, დაწყებული ნიქარაძის იმულებითი მიწვევიდან, დამთავრებული აეროპორტის უფროსის ქვეით, იმას მოასწავებდა, რომ თბილისის დათვალიერების ამბავი წინასწარ, ასლანი-საგან დამოუკიდებლად იყო გადაწყვეტილი. ეს კი შემდეგშიც ნათლად დადასტურდა, მოიარეს საქართველოს თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი, თბილისის ყველა მშვენიერი კუთხე ანახეს ასლან ყურაშვილს, მაგრამ თავისუფლებას და მშვენიერებასთან განმარტოებას მოკლებული მშობლიურ სანახევში თავს ლაღად ვერ გრძნობდა. ასლანი რამდენიმე დღე დარჩა თბილის-

ში. სასტუმრო „ქუთაისის“ მისივე ოთახი შეაჩერეს, თანხა ფუნტიკლორის განაწილებისას ასლანი ფანჯარასთან, თვალს უშტერებდა სივრცეს და ვინ იცის, რას ფიქრობდა ცხოვრებით განაწილები და დალოდილი? საერთოდ ასლანი ძალიან ცოტას ლაპარაკობდა საკუთარ განცდებზე, აზრებზე, დროა ფიქრებში ჩაძირულიყო. ერთმა ნაცნობმა გააფრთხილა მისი ძმა, სასტუმროში ერთმანეთთან გულ-ახდელ საუბარს მოერიდეთო, სასმელი აპარატურა არის დატოვებული და აქ შემომსვლელმა ყველა მომსახურე ქალმა იცის ერთ-ერთი უცხო ენა მაინცო. ასლანის ამერიკაში გამგზავრების დროც მოახლოვდა. ნიქარაძემ დიდი „სიტბოთი“ გამოისტუმრა, ასლანს სამახსოვროდ გადაღებული სურათებიდან მხოლოდ რამდენიმე, რომელშიც მხოლოდ ასლანი იყო აღბეჭდილი, გაატანა.

მოგზაურობის მერვე დღეს ასლანი მიიღო სრულად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ასლანს გამოჰქონა უცხოეთში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველების შესახებ. საუბარი დიდხანს გაგრძელდა, დამთავრებისას პირველი გადასახა, აკურთხა, პირადად უსასოვრა საცლესო კალენდარი და სახარება, ბედნიერი მგზავრობა და სამშობლოში დაბრუნება უსურვავ, რადიო კომიტეტმა წიგნებით სასესე მორბდელი ჩემოდანი და ქართული ხალხური სიმღერების იშვიათი ალბომი გაატანა, რომელიც უნდა გადაეცა ნიუ-ორკში ქართული სათვისტომოსთვის.

მიემგზავრებოდა ასლანი ამერიკაში მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ სამუდამო საცხოვრებლად ისევ სამშობლოს დაუბრუნდებოდა, სხვის მიწაზე სიკვდილს და მატრდ შთენილ საფლავს მშობლიური მიწის სიბრტე ერჩია.

სამუდამოდ უბრუნდებოდა საქართველოს ღვიძლი შვილი. 86 წლის, ცხოვრებით დაღლილი, ნაწამები, მაინც ამაყად მოდიოდა საქართველოში, თვითონ არ იცოდა რა უფრო დიდი ბედნიერება იყო—სამშობლო თუ თვით სიცოცხლე მისთვის, მოდიოდა და თან მოჰქონდა ერთი მუქა ქართული მიწა, მთელი ცხოვრება თან რომ დაატარებდა ამერიკაში, მოჰქონდა ქართულ სათვისტომოში დარჩენილი თვალცრემლიანი ქართველების დარდი და იმედი, სამშობლოში დაბრუნების, ქართულ მიწაზე თუნდაც ფეხის ერთხელ დაბიჯების დიდი სურვილი და უზომო, უზომო... მონატრება.

დიდხანს ვერც იცოცხლა, მხოლოდ შვიდი თვე დაჰყო აქ და მერე აქაურობაც სამუდამოდ დატოვა მისმა სულმა.

იყო კი აქ ბედნიერი? ვინ იცის, მას ხომ ამის თქმაც არ დასცალდა—მას ხომ მშობლიურ საქველში, სანორჩის ცაცხეების ძირას, დედ-მამის საფლავებთან დაკრძალვაც არ ელირსა!!

მადონა მახაროზიძე.

აღმეჩსეი შკმელი

მობრძანდით

ლაცხვერიას

სამკურნალო კოორპირაციის
„ლაძგერია“ 15 მაისიდან
სსსს სსსს.

სამკურნალო და დასასვენებელ
მობრძანებულებს შევას-
ნებთ, რომ მინერალური წყალი
გამოიყენება აბაზანების სახით
და დასასვენებლად.

მინერალური წყლის „ლაძგერია“-
სამკურნალო ჩვენებებია:
საქმლის მომწელებელთა გრა-
ნოთა ქრონიკული დაავადებები:
გასტრიტი, შენარჩუნებული ან
მოშატეული სეკრეტული ფუნ-
ქციით; გასტრო-ენტერონევრო-
ზები; დისპეპსიური, მტკიცეუ-

ლი, მოძრაობითი და სხვა; კუჭ-
ისა და თორმეტგოჯა ნაწლავის
წყულულოვანი დაავადება რემის-
იისა და არასრული რემისიის
ფაზაში; ანთებითი ან ფუნქციო-
ნალური ხასიათის კუჭუკანა ჯი-
ვლის დაავადებები; წვრილი
და მსხვილი ნაწლავების ანთეზი-
თი ან ფუნქციონალური ხასიათის
დაავადებები (ფაღარათით ან
შეკრულობით). ღვიძლის და
სახსრულ გზების ანთებითი (ქო-
ლეცისტიტი, ქოლანგიტი) და
ფუნქციონალური ხასიათის
(დისკინეზიები) დაავადებები.
ნივთიერებათა ცვლის ზოგიე-

რთი დაავადება — შაქრიანი დიაბ-
ეტის მსუბუქი ფორმა; სხვა-
დასხვა ეტიოლოგიის I-II ხარ-
ისხის სიმსუქნე; პოდაგრა; ოქსა-
ლურია, ფოსფატურია; რკინა-
დეფიციტური ანემია სხვადასხვა
ეტიოლოგიისა;

სახსრებისა და პერიფერიული
ნერვული სისტემის დაავადებები:
(ართრიტები, რევმატიზმი, პოლი-
ართრიტი, ინფექციური
არასპეციფიკური; დეფორმული
ართრიტები, ართროზო-ართრიტ-
ები; ტრავმული ართრიტები;
გავა-წელის რადიკულტები;

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები:
პიკერტონული დაავადება I-ბ,
II-ა სტადია.

მომსახურების ფასი დღე-ღამე-
ში იქნება 22 მანეთი, თანხაში
შედის როგორც სამედიცინო მო-
მსახურება, ასევე — ბინა, კვება,
მომსახურების ღირებულება შე-
გიძლიათ გადაიხადოთ როგორც
ნაღდი ანგარიშით, ასევე გარდაი-
ხადოთ.

კომპარტინი „ლაძგერია“-
დირექცია.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

1991 წლის 7 მაისიდან საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო დაწესებულების გამგეობის სპეციალური კომისია
სახელმწიფო დაწესებულების ინსპექციის შესაბამის მუშაე-
ბთან ერთად იწყებს მიწისძვრით მოქალაქეთა მეურნეო-
ბებზე ხარისხობრივი დაზიანებისა და ზარალის განსაზღვ-
რას

გთხოვთ მიაკითხოთ ადგილობრივ საკრებულოებს
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან სახელმწიფო
ცაგერის ინსპექციას.
სახელმწიფო ცაგერის ინსპექცია.



მაჟალა ამგროსის ასუდ მუშადიანს მუშათა დავითის ძე ლარცუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული, სიყვარული და
შვილთა სიმრავლე დაგებდებოდეს თქვენს ახალ ფუძეს.
ბუკუ ბედნიერადი ოჯახით.

მაჟალა ამგროსის ასუდ მუშადიანს მუშათა დავითის ძე ლარცუდიანს


გილოცავთ ულამაზეს დღეს-ბედნიერებას, იხარეთ,
იბედნიერეთ, შვილთა სიმრავლე დაგებდებოდეთ.
მრავალწლიური თქვენი სიცოცხლე.

ღალი კვირკაშვილი, აზა ხაბუღიანი, ნანი,
ხათუნა მეშველიანები, ამალია საღინაძე, დიანა
ცვარიანი, ნინო ზეცურიანი, სოფო გვიშაიანი,
ნატო ასლანიკაშვილი.

ღალი ლეთოდიანს გოგი კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას, ღმერთმა აკურთხოს და
აღვსავდეს თქვენი ახალშექმნილი ოჯახი. შვილთა
სიმრავლე, სიყვარული დაგებდებოდეთ.

ბარდნაღის საშუალო სკოლის პედაგოგიური
კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.



გულს, რომან ახვლედიანს

გილოცავთ გოგითა ბედნიერებას, კვლავ მრავალ
სიხარულს შეეცნოს თქვენი ოჯახი. მარადიული სიყვარუ-
ლი ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი.
ვახტანგ, ნოდარ, გელა, მამუკა ახვლედიანები,
ანდრო ბურჯალიანი ოჯახებით.

როზა, ზურაბ განდღიანს

გილოცავთ ვაჟის შეძენას, იმრავლოს თქვენა ოჯახში.
ცაგერის კინოფიციის კოლექტივი.

თამარ დავაშის ძე ჩაპვატაძის

გილოცავთ დისშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის
სასახელო ქალი.

ცაგერის სახელმწიფო ინსპექციის თანამშ-
რები.

ნათელა, მამუკა, რუზან ხვადიაშვილს

გილოცავთ ნათელასა და ავთოს ბედნიერებას. შეექმნათ
ნამდვილი ქართული ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარვე-
ლი.

ნაზიკო, ხათუნა, მურთაზ ჩაქვატაძეები.

მედიანა სვანიძის

გილოცავთ შვილის, კახას ბედნიერებას. ფუძემდებრი
და მტკიცე ყოფილიყოს მისი ახლადშექმნილი ოჯახი.
მოგველოცოს სხვა შვილების ბედნიერება.

ნორა, მერი, თინა, პაშა, კარლო, ბუკუ, შალვა
ნათელა, ივარ ყურაშვილები, დალი, თამარა,
მარო, თამარა გოლეთიანები, დიდიმი, ნადია
სვანიძეები, ცილა, გოგი ქოშეთიანები, თინა,
ლილი ჩიქოვანები ოჯახებით.

ნაზიკო, შორა ახვლედიანს

გილოცავთ ქალიშვილის ქეთოს ბედნიერებას.
შეექმნათ ფუძემდებრი, შვილმრავალი ოჯახი. ღმერთი
იყოს მათი მფარველი.

მარო, კოლია ფუტყარაძეები, მზია, ანზორ მიქაუტაძეები.

გივი, დათუნა ქარსელაძის

გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარიტ მრავალს
თქვენი თბილი ოჯახით. გფარავდეთ ღმერთი.
ირაკლი, იზა, დათო, ნუნუ, პაღინა.

მერი მამარდაშვილს განსიკ კვენეტაძის

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის
სასახელო ქალი.

გოჩა საღინაძე.

ქაქუ, ვაჟა, მაია, განსიკ ხაბუკიანს

გილოცავთ შვილიშვილის და შვილის შეძენას. გაზრდ-
ილიყოს სახელმწიფო ერისკაცი, შენატებოდეს მრავალი
და-ძმა, იხაროს და იძლიეროს თქვენმა ფუძე-ქერმა.
ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

რეზო ქაბუკიანი, გივი, რუზან, გურგენ ბურჯ-
ალიანები, სერგო, შურმან სილაგაძეები, სერგო
ქურციკიძე, ვილგემ გოლეთიანი ოჯახებით.

ანგელინა, ავთანდილ ხაბუღიანს

გილოცავთ ნანატრი ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყ-
ოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

ცაგერის კინოფიციის კოლექტივი.

რუსუდან გოგიძის, ჯამალ ნემსუდინის

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის
სასახელო შვილი. გფარავდეთ ღმერთი.

ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

მეუღლე შალვა, შვილები ომა-
რი, რამაზი, ნინო, მამარდაშვილი
მამა გივი, მამარდაშვილი, მამარდაშვილი
გრიშა (შეუბუღიანი) — ოსტეო-
ციტო მაქარაძე, მადონა უგუ-
ლავა, მადონა გოლეთიანი,
ფენია, თამარ შეუბუღიანები,
სიძეები კორტე იოსელიანი,
ზურაბ საღინაძე, შვილიშვილები
ბი ვალერი, ალა, ვერიკო,
ხატული, შალვა თამილა,
ნანა, ანკო, ძმისშვილები, მამარ-
დაშვილები, მშულისშვილები,
დედაშვილები, მამარდაშვილები
იუწყებიან, რომ გარდაიცვალა.
ვერიკო ამბერკის ასული
მამარდაშვილი-შეუბუღიანი.
დაკრძალვა 9 მაისს, ხუთშა-
ბათს, ქ. ცაგერში.

კავშირგაბმულობის რაიონული
კვანძის თანამშრომლები იუწყე-
ბიან, რომ გარდაიცვალა
ვერა შეუბუღიანი
და თანაუგრძნობენ განსვენებუ-
ლის ოჯახს.

პროფტექნიკური სასწავლებლის
თანამშრომლები თანაუგრძნობენ
ტაგუ ფუტყარაძის ბიძის
იორამ ფუტყარაძის
გარდაცვალების გამო.

დადაში, შაქრუ შეუბუღიანები,
ბუკუ მამარდაშვილი ოჯახებით
იუწყებიან.

ვერიკო ამბერკის ასული
მამარდაშვილი-შეუბუღიანის
გარდაცვალებას.

შალვა ბურჯალიანი, ამირან
გუშაიანი, სოსო გოლოძე ოჯა-
ხებით იუწყებიან, რომ გა-
რდაიცვალა
გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი

მიშა ჩარკვიანი, ჯეთანდილ კო-
პალიანი, ტარზან, ღმერთ მეშე-
ვლიანები, რამინ ყურაშვილი,
ზურაბ ხაბუღიანი ოჯახებით
იუწყებიან
იორამ ფუტყარაძის
გარდაცვალებას.

მარგალიტა შეუბუღიანი, შოთა
ახვლედიანი, რუზან ხვადიაშვილი,
მურმან ზეცურიანი იუწყებიან,
რომ გარდაიცვალა
ვერა მამარდაშვილი-
შეუბუღიანი.

კოორპირაციის „სიხლის“ თანამ-
შრომლები თანაუგრძნობენ ამი-
რან ფუტყარაძის მამის
იორამ ფუტყარაძის
გარდაცვალების გამო.

მიხეილ, ჯონდო საღინაძეები
ოჯახებით იუწყებიან, რომ გა-
რდაიცვალა
ვერა შეუბუღიანი.

ლასურიაშის საშუალო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი და
ტექნიკური პერსონალი თანაუ-
გრძნობენ ლარისა ფუტყარაძის
ბიძის

იორამ ფუტყარაძის
გარდაცვალების გამო.

ბორის ზეცურიანი, გივი ბენდ-
ლიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ
გარდაიცვალა
ვერიკო შეუბუღიანი.

„ლინგუა“ გამოდის

- სამუშაოსათვის
- ხუთშაბათს
- შაბათს

ჩვენი მისამართი: 284100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №55 ბაღიშენები:

რედაქტორის მისამართი — 22-85, პასუხისმგებელ მდივნის — 22-84, სახალხო მეურნეობის განყოფილების
— 22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების — 22-41, სტამბის დირექტორის — 22-17, სამწყობო
სამქრობი — 22-28 შეკვატა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი

ნოდარ

ნემსაძე